

# ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

რიგა/თბილისი, 2015 წლის მაისი

## ადრეული ქორწინება და მისი ზეგავლენა ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე

პოლიტიკის დოკუმენტი

### ავტორი:

ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

### რეცენზენტი:

კორნელი კაკაჩია

### რედაქტორი:

ლია კაჭარავა



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი „ლია საზოგადოება საქართველო“

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2014 წლის სექტემბრიდან (როცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) პირობითად ძალაში შევიდა) 2015 წლის აპრილამდე.

დოკუმენტი მომზადებულია ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ შიდა პროექტის ფარგლებში – ევროკავშირ/საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

### შემაჯავებელი მიმოხილვა

პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია საქართველოში, ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებებისა და მდგომარეობის ანალიზი. დოკუმენტში განხილულია ბავშვის უფლებების უხეში და სისტემური დარღვევები, განსაკუთრებით, გოგონების მიმართ, რომლებიც ადრეული ქორწინების გამო, დგანან გენდერულ ძალადობის წინაშე, რაშიც მთავრობის მხრიდან შესაბამისი ჩარევა არ ხდება.

დოკუმენტი ამ პრობლემის მასშტაბსა და ინტენსივობას აანალიზებს. აღნიშნულ შეფასებაში გამოვლენილია სამართალდამცავი უწყებების, განათლების, სოციალურ და სამედიცინო მომსახურებების მუშაობის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა გამოც საქართველოში ბავშვთა ქორწინების შემთხვევები, არაპირდაპირი სტატისტიკის თანახმად, განსაკუთრებით ხშირია. დოკუმენტში სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა ქორწინების ზუსტი სტატისტიკის წარმოებისგან თავის შეკავება, მიჩნეულია ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რის გამოც არ ხდება საკითხის ეროვნულ დონეზე დაყენება. ბავშვთა ქორწინება არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რამდენად ძლიერია ზოგიერთი ადგილობრივი ტრადიცია და წეს-ჩვეულებები, რომლებსაც საზიანო შედეგი მოაქვთ საქართველოში ადამიანების უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების კუთხით.

წინამდებარე მიმოხილვის შედეგები ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველო ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ შეასრულებს მანამ, სანამ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემა, ბავშვთა უფლებების მძიმე და სისტემური დარღვევა, სათანადოდ არ მოგვარდება.

## შესავალი

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს მთავრობამ მტკიცედ გამოხატა ევროკავშირთან ახლო ურთიერთობების დამყარებისა და ევროპული საზოგადოების ფასეულობების გაზიარების ნება. ამ მიზანთან დაკავშირებული ვალდებულებები ასახულია ასოცირების ხელშეკრულებასა და ასოცირების დღის წესრიგში. თუმცა, ეს ვალდებულებები დოკუმენტების მიღმა შესაფერისი ღონისძიებებით უნდა გამყარდეს, რომლებიც ადამიანის უფლებების დამკვიდრებულ სტანდარტებთან იქნება შესაბამისობაში. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები ასოცირების დღის წესრიგის 2.1-ე თავშია წარმოდგენილი, რომელიც საქართველოს ავალდებულებს, ბავშვთა უფლებების ყოველმხრივ და სრულფასოვან დაცვას, რომელიც მოიცავს ბავშვთა სიღარიბის დაძლევას და ყველა ფორმის ძალადობისგან ბავშვების დაცვის აუცილებლობას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ყველა რეფორმაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვების მიმართ ძალადობის დაძლევის სტრატეგიას, რადგან ეს ბავშვის განვითარებაზე დამანგრეველ ზეგავლენას ახდენს.

ბავშვთა ქორწინება საქართველოში ბავშვზე ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა. აღნიშნული ფენომენი ფართოდაა გავრცელებული, რომელიც ასევე უკავშირდება ბავშვთა სიღარიბეს. ბავშვთა ქორწინების პრობლემის მიმართ არასათანადო ყურადღების გამოჩენა საფრთხეს უქმნის ასოცირების დღის წესრიგის შესრულებას, განსაკუთრებით კი, ისეთ მიზნებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ასევე დემოკრატიული პრინციპების დანერგვა, კანონის უზენაესობა და ეფექტური მმართველობის სისტემის არსებობა.

## ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში, სკოლა 7,367-მა, 15 წლამდე ასაკის გოგონამ მიატოვა. ამ გოგონების მიერ სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ მონაცემები არ არსებობს, თუმცა, სახალხო დამცველის ანგარიშში გაკეთებული ანალიზის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში მიზეზი ადრეულ ასაკში ქორწინებაა<sup>1</sup>.

ევროპის ქვეყნებს შორის, საქართველოში, 18 წლამდე გოგონების ქორწინების მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია და წარმოდგენილია მოლდოვას (19%) და თურქეთის (14%) მონაცემებთან მიახლოებულად. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ანგარიშში<sup>2</sup> მიხედვით, ბოლო წლებში ქართველი ქალების დაახლოებით 17% 18 წლის ასაკამდე დაქორწინდა. ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც, უმეტესწილად, ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული, 2008-2012 წწ ადრეული ქორწინების მსხვერპლი 341 გოგონა გახდა, მათ შორის იყვნენ 12 წლის გოგონებიც. რამდენიმე გოგონამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, რისი მიზეზიც ადრეული ქორწინების იძულება იყო.<sup>3</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2012 წ. (გვ. 397), ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/en/reports/saparlamento-angarishebi>

<sup>2</sup> UNFPA (2013). საქართველო – ბავშვთა ქორწინება (გვ.3), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე (2015 წლის 19 აპრილის მდგომარეობით): <http://en.calameo.com/books/00071352976da7c07b52b>

<sup>3</sup> კახეთის საინფორმაციო ცენტრი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე (2015 წლის 19 აპრილის მდგომარეობით): <http://ick.ge/videogallery/20328-i.html>

2012 წელს, 15-19 წლის გოგონების მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობამ საქართველოში დაბადებული ბავშვების 10% შეადგინა. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ განხორციელებული „საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის“ შედეგების თანახმად, 18 წლამდე დაქორწინებულ ქალებს, ხშირ შემთხვევაში, სრული საშუალო ან უმაღლესი განათლება მიღებული არა აქვთ. იმავე კვლევის მიხედვით, 15-19 წლის დაქორწინებული ქალების 76.6% კონტრაცეფციის არანაირ თანამედროვე მეთოდს არ იყენებდა, რისი მთავარი მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობა იყო. საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამაში არ შედის განათლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე და არც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ოჯახის დაგეგმვის ან საკონსულტაციო ცენტრები ფუნქციონირებს.

## სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად, ქორწინების კანონმდებლობით დადგენილი ასაკი 18 წელია. გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი თანხმობის შემთხვევაში. თანხმობაზე უარის დროს, პატივსაღები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებულ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, სქესობრივი კავშირი სრულწლოვანსა და თექვსმეტ წელს მიუღწეველ პირს შორის სისხლის სამართლის დანაშაულია. 2015 წლის აპრილში კი ძალაში შევიდა ახალი ნორმა (სისხლის სამართლის კოდექსის 1501-ე მუხლი), რომლის მიხედვით ქორწინების (რეგისტრირებული, არარეგისტრირებული) იძულების კრიმინალიზაცია მოხდა.

## ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ქორწინება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულად არის აღირებული, აღნიშნული ნორმების აღსრულება პრაქტიკაში არ ხდება. საკანონმდებლო ნორმების აღუსრულებლობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალურ მსხვერპლებზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე. ყოველი შემთხვევის მიღმა ვხედავთ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა, სოციალურმა მუშაკებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა და სხვა პირებმა ვერ შეასრულეს ვალდებულებები, რათა ამგვარი ინციდენტი თავიდან აეცილებინათ და მსხვერპლი დაეცვათ. სტატისტიკური მონაცემების შეუგროვებლობა, ასახავს ერთი მხრივ, სახელმწიფოს ხედვის პრობლემას ბავშვთა ქორწინების საკითხის მიმართ, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობას ამ პრობლემის არსისა და მოცულობის შესახებ.

ხშირად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები ბავშვის ქორწინების მთავარი მიზეზია. სიღარიბეში მცხოვრები ოჯახებისთვის თავიანთი ქალიშვილების ადრეულ ასაკში გათხოვება მათთვის შვების მომტანია, რადგან შვილების საკვებით და ტანსაცმლით უზრუნველყოფა აღარ მოუწევთ ან შეიძლება, სარგებელიც კი მიიღონ პატარძალში გადახდილი ფასის გამო.

სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამა გენდერულად სენსიტიური არ არის და ამგვარი შემთხვევების გამოვლენას ან/და პრევენციას არ ახდენს.

ბავშვთა ქორწინება სქესობრივი ძალადობის აქტია, თუმცა, ზოგადად, ეს შემთხვევა ამგვარად არ კვალიფიცირდება. საქართველოში, ტრადიციული კულტურა დიდი ხნის მანძილზე ახდენდა დაქორწინების იდეალიზაციას. ქალებისთვის, არასრულწლოვანი გოგონების ჩათვლით, ქორწინება ყველაზე მაღალი მორალური ვალდებულების შესრულებად მიიჩნევა.

ბავშვთა ქორწინება, განსაკუთრებით, როცა მშობლებიც თანახმანი არიან, საზოგადოებისთვის გამართლებულია. უმეტეს შემთხვევებში, სწორედ მშობლები გეგმავენ და სისრულეში მოჰყავთ ბავშვის გათხოვება. ყოფილა შემთხვევებიც, როცა მშობლებმა ახალგაზრდა გოგონას გათხოვების სანაცვლოდ, პირუტყვი (10 ძროხა) მიიღეს. ასევე იყო ახალგაზრდა გოგონების თვითმკვლელობის<sup>4</sup> შემთხვევებიც, რითაც მათ მშობლების გადანყვეტილება გააპროტესტეს, გათხოვების თაობაზე. ამ შემთხვევებში სამართალდამცავებმა მშობლებს არანაირი ბრალი არ წაუყენეს თავიანთი შვილების უფლებების დარღვევის გამო.

გათხოვება გოგონებს განათლების მიღების საშუალებას ართმევს. ბავშვი პატარძლების უმეტესობა სავალდებულო განათლებას ვერ იღებს, რაც დასაქმებაზე მათ ხელმისაწვდომობას ზღუდავს. არც მასწავლებლები, არც სკოლის დირექცია არ მიიჩნევენ, რომ ამგვარი შემთხვევები ბავშვის უფლებების დარღვევაა და არც ერევან ამ საქმეში.

საქართველოში ბავშვები არ იღებენ განათლებას რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ არც საჯარო, არც კერძო სკოლებში. მასწავლებლები თავს არაკომპეტენტურად გრძნობენ ან ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის სწავლება ეუხერხულებათ, რის გამოც რეპროდუქციული ორგანოების ანატომიას თავს არიდებენ. ხშირად მასწავლებლები ამბობენ, რომ თავიანთი რელიგიური შეხედულებების გამო, ისინი მოსწავლეებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ან კონტრაცეფციის საკითხებს არ ასწავლიან. ბავშვებს, ასევე არა აქვთ ინფორმაცია ადრეულ ასაკში დაქორწინების შედეგების შესახებ, შესაბამისად, მათ მნიშვნელოვანი გადანყვეტილების მიღების დროს არა აქვთ გააზრებული გადანყვეტილების შინაარსი და მათი ნებელობა ეჭვის ქვეშ დგას. ისინი ვერ იღებენ ინფორმირებულ გადანყვეტილებას დაქორწინების ან სქესობრივი ურთიერთობების დაწყების შესახებ.

სასკოლო სახელმძღვანელოებში მოცემული მასალა გენდერულ უთანასწორობას წარმოაჩენს, სტერეოტიპებს განამტკიცებს, რის გამოც ახალგაზრდა გოგონებს აღარ ჰგონიათ, რომ მათ საკუთარი არჩევანის გაკეთება შეუძლიათ. როგორც სასწავლო მასალები, ასევე სასკოლო გარემოც პატრიარქალური, საზოგადოების პარადიგმის ირგვლივ არის ორგანიზებული, სადაც მამაკაცები არიან გაბატონებულნი. ძალიან დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეებისთვის იმის სწავლებას, რომ მათ ტრადიციული და კონსერვატიული ფასეულობები უნდა დაიცვან. თავისუფალი გამოხატვა და ლიდერობა შეუფერებლად მიიჩნევა გოგონებისთვის, ტრადიციული ქართველი ქალის კონცეფციიდან გამომდინარე. არ ხდება გოგონების ხელშეწყობა, რათა დაკავდნენ სპორტით ან ტექნიკურ საგნებში დასპეციალიზდნენ.

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2013 წ. (გვ.272- 273), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე (2015 წლის 19 აპრილის მდგომარეობით): <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1934.pdf>

18 წლამდე დაქორწინებული გოგონები უფრო მეტად არიან დაუცველნი გენდერული ძალადობის მიმართ. ხშირად ღარიბი, გაუნათლებელი და თანასწორებისა თუ თავისიანებისგან იზოლირებული გოგონები ფიზიკური და ემოციური ძალადობის უფრო მეტი რისკის წინაშე დგანან, განსაკუთრებით, სახლში. სახელმწიფოს პრევენციული მიდგომები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით აქცენტს არ აკეთებს ბავშვის დაქორწინების შემთხვევებზე.

ადრეულ ასაკში ქორწინება ბავშვი-პატარძლების ჯანმრთელობას უდიდეს სტრესს აყენებს. აღნიშნული გოგონები, როგორც წესი, სქესობრივ ცხოვრებას მანამდე იწყებენ, ვიდრე ამისთვის ფიზიკურად ან ფსიქიკურად მზად იქნებიან. ამას გარდა, ადრეულ ასაკში ორსულობა დედის გარდაცვალების რისკს ზრდის. ექიმები და სხვა სამედიცინო პერსონალი აღნიშნულ შემთხვევებს არ აცნობებენ ბავშვის დაცვის სამსახურებს და არც რაიმე პროტოკოლი, გზამკვლევი არა აქვთ ამგვარ გოგონებთან სამუშაოდ.

საქართველოში არსებული სოციალური სამსახურები ვერანაირად ვერ აკმაყოფილებენ იმ ბავშვების საჭიროებებს, რომლებიც სქესობრივ ან ემოციურ ძალადობას განიცდიან, ან ამ რისკის წინაშე დგანან. იმის მიუხედავად, რომ საქართველომ სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებები პრიორიტეტად გამოაცხადა, ამის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არსებობს. საქართველოში სულ 242 სოციალური მუშაკია მაშინ, როცა ქვეყნის საერთო მოსახლეობა 4.5 მილიონს შეადგენს. სპეციალისტების ეს რაოდენობა აბსოლუტურად არასაკმარისია 21 კატეგორიის მოსარგებლებთან სამუშაოდ, რომელთა შორისაა: ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები, ოჯახში ძალადობაგანცდილი ბავშვები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები, მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსებული ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ასევე ბევრი სხვა. სახელმწიფო სოციალურ სამსახურებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის არანაირი რესურსი არ გააჩნიათ. სოციალურ მუშაკებს, ასევე არ შეუძლიათ საჩივრებზე რეაგირება შორეულ (მთიან) რეგიონებში, დროისა და ტრანსპორტირების ხარჯების გამო. როგორც წესი, ისინი თვეში რამდენიმე საქმის დაგროვებას ელოდებიან მანამდე, ვიდრე სოფელში საკუთარი ხარჯებით წავიდოდნენ. ბევრ შემთხვევაში, სოციალურ მუშაკებს სამუშაო ადგილიც არა აქვთ, სადაც ისინი სქესობრივი ძალადობის მსხვერპლებისთვის კონფიდენციალურობას უზრუნველყოფდნენ. ზოგ რეგიონში სოციალური მუშაკისთვის სამუშაო მაგიდა და კომპიუტერიც კი არ არის გამოყოფილი. ისინი სამუშაო ადგილსა თუ ტექნიკას ერთმანეთში იზიარებენ და რიგრიგობით მუშაობენ ინდივიდუალურ საქმეებზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 11 ფსიქოლოგია დასაქმებული სოციალურ სამსახურში. სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთათვის არც რაიმე სპეციალური გაიდლაინი და პროტოკოლი არსებობს, არც რაიმე სახელმწიფო სამსახური. მსხვერპლებს კი, უბრალოდ, არ შეუძლიათ თავიანთ ცხოვრებას დაუბრუნდნენ, რადგან ძალადობის შედეგად განცდილი ტრავმის დაძლევის ვერ ახერხებენ.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობა საჭირო ყურადღებას არ აქცევს და არც ადეკვატურ რესურსებს არ გამოყოფს ადრეულ ასაკში ქორწინების/ბავშვი-პატარძლების საკითხის განხილვისთვის. სქესობრივი ძალადობაგანცდილი გოგონების სიჩუმე მიღებულია როგორც მათი თანხმობა, რაც სრულიად მცდარი მიდგომაა. არსებული სისტემის მიხედვით, არანაირი დახმარება არ მიწოდება არც გოგონებს, არც მათ ოჯახებს.

თუ საქართველოს მთავრობა ამ საკითხს ვერ მოაგვარებს, ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვა, როგორც ასოცირების დღის წესრიგის შესრულების ნაწილი, ვერ განხორციელდება. ამ საკითხის გადასაჭრელად საქართველოს მთავრობამ შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას:

1. სახელმწიფომ ადრეული ქორწინების (ბავშვის უფლებების სხვა დარღვევებს შორის) უფლებამოსილი მომხსენებლების სისტემა უნდა შექმნას და მკაცრი მონიტორინგი უნდა გაუწიოს სამართალდამცავ ორგანოებს, რათა საკანონმდებლო ჩარჩოს აღსრულება უზრუნველყოს. საჭიროა ზუსტი მონაცემების შეგროვება ყველა სახელმწიფო უწყების მიერ (პოლიცია, სკოლები, საავადმყოფოები და ა.შ.)
2. პოლიციის ოფიცრებმა, ასევე იურიდიული, სამედიცინო და სოციალური სფეროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ყოვლისმომცველ საგნმანათლებლო და შესაძლებლობების განვითარების პროგრამაში, რომელიც ინდივიდუალურ შემთხვევებზე ადეკვატურ რეაგირებასა და მათ მართვას უზრუნველყოფს.
3. სიღარიბის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არსებულ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში ბავშვი-პატარძლები გამოვლენილი უნდა იყოს როგორც გენდერული ძალადობის უფრო მეტი ალბათობის მქონე რისკ-ჯგუფი. შესაბამისად, სიღარიბის, სოციალური დაცვისა და განათლების შესახებ არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებში სათანადო ცვლილებები უნდა შევიდეს პრევენციისა და ამ საკითხებზე რეაგირებისთვის.
4. სქესობრივი და ემოციური ძალადობაგანცდილი გოგონების დასახმარებლად სოციალური და ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და სარეაბილიტაციო მომსახურებისთვისთვის ძლიერი ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას, ტრავმის და სტიგმატიზაციის დაძლევის მიზნით.
5. საქართველოს საჯარო სკოლებში სავალდებულო საგნად უნდა იქნეს შემოღებული რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა. სოციალური და კულტურული სტერეოტოპების შეცვლით, უნდა ნაახალისონ გოგონები, რათა მათ შეძლონ პროფესიული კარიერის შექმნა, ასევე ხელი უნდა შეუწყონ მათ, რომ თავიანთი ცხოვრების შესახებ გადანიყვეტილების მიღებაში თავადვე მიიღონ მონაწილეობა.
6. მეინსტრიმმა, მასმედია, ასევე სხვა საინფორმაციო საშუალებებმა საინფორმაციო კამპანიები უნდა მოაწყონ ბავშვის უფლებების დარღვევის, ადრეულ ასაკში ქორწინების დამაზიანებელ ასპექტებზე და მოახდინონ საზოგადოებისა და თავად ბავშვების ინფორმირება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.



